+

პროექტ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №_ _

2025 წლის _ _ ნოემბერი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამი განხორციელების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ივნისის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერ პროგრამის განხორციელების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ივნისი N18 დადგენილებაში (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ ვებ. გვერდი www.matsne.gov.g სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.122.016639. 28/06/2022) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდ შემდეგი რედაქციით:

„გ) ადგილობრივ დონეზე ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობ მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა;“

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ბ) საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ან წევრი;

გ) ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე;“.

3. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტები შეიცვალო და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე;“.

4. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის სასწავლო კომპონენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ქვეკომპონენტებს: ბიზნეს გეგმი შედგენის, საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმების, ფინანსების, მარკეტინგის შესახებ, ადამიანი უფლებების თემებს და სხვა რელევანტურ საკითხებს.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — ნიკა მჟავია